ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N67

2018 წლის 11 აპრილი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.03.138) 20,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით ფ/პ ნინო მჟავანაძეს;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 83,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.03.138) 20,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი